კურდღლის ჩივილი

შენ ბილიკო მშვენიერო,
ჩამოსაცანცალებელო,
რად არ მითხარ: "ყურმახვილო,
შენ არ დასაცალებელო,

გაუფრთხილდი, მუდამ ერთგზით
ჩუმჩუმად ნუ იარები,
თორემ გნახავს მონადირე,
ტყვიას დაეზიარებინ..

ერთხელ დილით, როდესაც ცამ
პირი მოიფარდიანა,
დამაღონა, დამაფიქრა,
გული დამიდარდიანა.

ვთქვი: თუ ეს რა ამბავია,
თითქოს ვიყავ მხიარული,
გრძნობა რისთვის მეურჩება,
ან სკუპ-სკუპით სიარული.

არ წავიდე?! მაშ რა ვუყო
ჩემს პაწია მაწოვარებს,
  გამომშრალი ძუძუებით
დედა შვილს ვერ გაახარებს.

ავდექი და გავემართე
იმავე გზის ბილიკითა,
ცანცალითა, ყუნცულითა,
როგორც ბიჭი ჩილიკითა.

ბილიკს ჩავცდი, ველის პირზე
ავიარე, ჩავიარე,

მივიხედე, მოვიხედე
და კომბოსტოს მივეპარე.

პირში ნერწყვი მომერია,
კბილი გამოვაკრიალე,
კაპი-კუპი ავუყენე,
მაგრამ თავი ვაზარალე.

იმ უღმერთო მონადირემ
ქამა აღარ დამაცალა,
თოფი გაითვალისწორა,
ტყვია გამოაბზრიალა.

სწორედ თეძოებში მეცა
მეხისავით გრიალითა,
იქვე გადავკოტრიალდი
კვნესითა და წრიალითა.

წინა ფეხნი მთელი მქონდა,
წელმა ვეღარ აიტანა,
გამოქანდა მონადირე
და ხელები დამატანა.

ზედ კისერზე გადამიგდო,
გარდიგარდმო გადამხარა;
მე შვილები დამიობლა,
თავისები გაახარა.

1911 წ.